სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ტარიელ ბალაბანიშვილის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	✓

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**22**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**22**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**9**	**10**
პროფესიული აქტიცობა	**0**	**5**
ქულათა ჯამი	**86**	**100**

სახელი, გვარი: ლევანი თევზაძე
თარიღი : 16.09.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

2024 წლის 16 **სექტემბერი** **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ტარიელ ბალაბანიშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, მოსამართლეთა 17 ვაკანტურ თანამდებობაზე, მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **ტარიელ ბალაბანიშვილი.**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 2 სექტემბერს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე, შეევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 36 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2020 წელი), სპეციალობით მუშაობის 14 წლიანი გამოცდილება, კერძოდ:

- 2010 - 2013 წლები - იურიდიულ საკითხებში მთავარი სპეციალისტი - ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- 2013 - 2020 წლები - ადვოკატი სისხლის სამართლის მიმართულებით - სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო;
- 2020 - 2022 წლები - ადვოკატი, სისხლის სამართლის მიმართულებით - სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ახალციხის იურიდიული დახმარების ბიურო;
- 2022 – 2023 წლები - ეწეოდა კერძო საადვოკატო საქმიანობას სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით;
- 2023 – 2024 წლები - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი და კურსდამთავრებული.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

კანდიდატ ტარიელ ბალაბანიშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება ინფორმაცია მის საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებით. კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელებით. არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი. კანდიდატის სახელზეა რეგისტრირებული უძრავი ქონება: ბინა, 64.6 m^2 ფართით, თბილისში. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატი ერთ შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენისათვის, ჯარიმა გადახდილია დროულად.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მოსამართლეობის კანდიდატ ტარიელ ბალაბანიშვილის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში იქნა მოძიებული. კანდიდატი მხარედ მონაწილეობდა ერთ დასრულებულ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეში, კერძოდ: მოსარჩელე მხარე - ტარიელ ბალაბანიშვილი და მოპასუხე მხარე - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველო. დავის საგანი: საჯარიმო ქვითრის გაუქმება; ახალციხის რაიონული სასამართლო; შედეგი: დადგენილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

კანდიდატი არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად რომელიმე საქმეში; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი.

ტარიელ ბალაბანიშვილი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 78/15
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში 11.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ტარიელ ბალაბანიშვილს მიუხედავად იმისა, რომ *ადმინისტრაციული სამართლის* განხრით არ ჰქონია პრაქტიკული გამოცდილება, კარგად აქვს შესწავლილი სამართლის ამ დარგის თეორიული საკითხები, სრულყოფილად შეუძლია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, განზოგადება და განსახილველი საკითხისადმი მისადაგება. სემინარული მუშაობისას კანდიდატმა გამოავლინა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მაღალი დონე, პრაქტიკული დავალებები შეასრულა სათანადოდ და მაღალკვალიფიციურად. სასურველია იმუშაოს ადმინისტრაციული

სამართლისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ საკითხებზე. *სამოქალაქო სამართალში* კანდიდატს შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რაც გამოვლინდა პრაქტიკული დავალებების შესრულებისას, რელაციის მეთოდებით საქმის დამუშავებისა და სამართლებრივი დასკვნების მომზადებისას. შესაფასებელ პირს აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. *სისხლის სამართალში* მუშაობისას კანდიდატმა წარმოაჩინა თეორიული ცოდნა, რაც გამოვლენილი იქნა ყოველდღიურ საქმიანობაში განაჩენის პროექტის შედგენისას, ასევე სამართლებრივ კაზუსზე მსჯელობისას და აღნიშნულ საკითხზე დისკუსიისას. კარგად იცნობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. აღნიშნულ გადაწყვეტილებებს წარმატებით იყენებს განაჩენის პროექტის მომზადებისას. უმაღლეს დონეზე შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების უფრო მეტ განვითარებაზე.

ტარიელ ბალაბანიშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგსა თუ სასწავლო კურსში (მაგ: პროფესიული ეთიკა - „ჰონორართან დაკავშირებული საკითხები და პრაქტიკული რჩევები", ონლაინ ტრენინგი - „ინტელექტუალური საკუთრება", ონლაინ ტრენინგი - „პრობლემური საკითხები სამშენებლო სამართალში", ფარული საგამოძიებო მოქმედებები და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და ა.შ.).

ტარიელ ბალაბანიშვილს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, ასევე საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის გამოცდა.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

3. ***კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:***

კანდიდატს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული; თუმცა, გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები მის მიერ გაცემულ პასუხებში, კერძოდ: არასრულად ისაუბრა კონსტიტუციის გადასინჯვის წესზე, ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 285[1] მუხლის მიხედვით, უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშული სასჯელის გადასინჯვის საფუძვლებზე და ვადებზე.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა და დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

ბოლო სამი წლის განმავლობაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთი სამართალდარღვევის ჩადენა არ ადასტურებს, რომ „კანდიდატს", როგორც მოქალაქეს, არ აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება. „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი", იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, ბევრ სხვა კომპონენტსაც (პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა) მოიცავს. ვინაიდან სხვა ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა პრეზუმფციას, რომ „კანდიდატი" აკმაყოფილებს ყველა ამ კომპონენტს, არ გამაჩნია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

კანდიდატი გამოირჩევა პროფესიული პრინციპულობით, გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, არ ავლენს პოლიტიკური ან სხვა ნიშნით რაიმე სახის მიკერძოებულობას.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

კანდიდატი კოლეგებთან ურთიერთობისას გამოირჩევა კორექტულობით, არის თავდაჭერილი, გაწონასწორებული, კომუნიკაბელური, ეფექტურად მართავს ემოციებს, ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

კანდიდატი კოლეგებს შორის სარგებლობს მაღალი პიროვნული და საქმიანი რეპუტაციით, ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით საფუძველზე მივეცი იმ დასკვნამდე, რომ **კანდიდატი ტარიელ ბალაბანიშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შეფასების ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სიღრმისეული ცოდნა. ამასთან, კანდიდატის საჯარო მოსმენისას გამოვლენილი შეცდომების/ხარვეზების შემოხვეცების და კითხვების სირთულის გათვალისწინებით, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით, შეეფასეს **22 ქულით (მაქსიმალური -25);**

კანდიდატს აქვს პროფესიული კუთხით მუშაობის დიდი გამოცდილება და კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი. სასამართლო გადაწყვეტილების პროექტების მომზადებისას ავლენს სამართლებრივი დასაბუთების უნარს.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **22 ქულით (მაქსიმალური - 25 ქულა);**

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ტარიელ ბალაბანიშვილის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებებისა და საპროცესო დოკუმენტების პროექტები შედგენილია სწორი საპროცესო ფორმით. აქვს სტილისტურად გამართული და გრამატიკულად სწორად წერის ჩვევა, რაც უფრო ნათელს და გასაგებს ხდის მის მიერ მომზადებულ დოკუმენტს. შესაფასებელი პირის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების/საპროცესო დოკუმენტების პროექტები მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებას საჭიროებდა. კანდიდატი ზეპირსიტყვიერად მსჯელობისას არ არის დაძაბული, საკუთარ აზრს გადმოსცემს თავისუფლად და არგუმენტირებულად. სამართლებრივ საკითხებზე კამათისას ასახელებს არგუმენტებს და ასაბუთებს მათ, აღნიშნავს ყველა მნიშვნელოვან გარემოებას.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **18 ქულით, (მაქსიმალური - 20 ქულა);**

კანდიდატი არის პუნქტუალური, გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, გააჩნია დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში კარგად ართმევს თავს სამუშაოს, არის მიზანდასახული.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებების" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **15 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);**

კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს. მას გააჩნია სიახლის მიმართ ინტერესი და ღიაობა, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **9 ქულით (მაქსიმალური 10 ქულა).**

კანდიდატი არ მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში. არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **0 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).**

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 86 ქულას.

ლევანი თევზაძე